№ 113
ოთხშაბათი, 11 ივნისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 113
[illegible]შაბათი, 11 ივნისი 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| [illegible] | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ[ერი]—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის პოლიცმეისტერს, მაზრის უფროსთა და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მაზრის წინამძღოლებს მიწერილობა მიუღიათ ტფილისის გუბერნატორის თავადის შერვაშიძისაგან აცნობონ მას, რამდენი კაცი ითვლება მთელს გუბერნიაში მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის პაჟთა კორპუსში ნამყოფი.

*** 28 მაისს ტფილისის სახაზინო თეატრში გამართულს წარმოდგენას ხარკოვის კავკასიელ შეუძლებელ სტუდენტთა სასარგებლოდ ყველა ხარჯის გარეშე წმინდა შემოსავალი 656 მან. და 54 კ. დარჩენია. აღნიშნული ფული წარმოდგენის გამმართველთ უკვე ტფილისის პოლიცმეისტ[illegible] რომ ხარკო[illegible] გაეგზ[illegible].

*** [illegible] სკოლ[illegible] წავლ[illegible] წელს სულ 406 მოსწავლე თურმე ითვლებოდა. ამათში თავად-აზნაურთაგან 278 ყმაწვილი ყოფილა, სასულიერო წოდების —21, მოქალაქეთა შვილები—34, გლეხთაგან—74 და უცხოელი 1. სათავად-აზნაურო ხარჯით შენახულა 27 ყმაწვილი, ნახევარ ხარჯით—57 და თავისს ხარჯით—28. მომავალის წლიდგან მე-6 კლასი იქნება გახსნილი. ამ წელს მე-V კლასში სულ 11 მოსწავლე ითვლება.

*** 10 ივნისს დასრულდა ეგზამენები ტფილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში. წელს სწავლა დაამთავრა 22 კაცმა, ამათში 5 ქართველია, 12 რუსი, 1 სომეხი, 1 ოსი, 1 ბერძენი, 1 ებრაელი და ერთიც ავსტრო-უნგრელი სლოვაკი. მოგვყავს ქართველთა გვარები: დ. ანანიაშვილი, გ. მათეშვილი, ვ. ჩხაიძე, გ. ჯაში და ყ. ქყონია. მთელს ინსტიტუტში რვა ქართველი მოსწავლე-ღა დარჩა, მაშინ როდესაც წარსულ წლებში 25—30 კაცამდე ითვლებოდა.

*** გორის მაზრის სოფ. [illegible]არებისა და ხნ[illegible]ის მცხოვრებნი [illegible] სარგებლოდ.

*** უწმიდესს სინოდთან არსებულს სამასწავლებლო საბჭოს ორთვიურ კურსების გახსნა განუზრახავს. კურსებზედ წაკითხულ იქმნება ლექციები აღზრდის თეორიისა, საეკლესიო გალობისა და ორ-კლასიან სკოლების მთავარ საგანთა მეთოდიკის შესახებ. ჯერ-ჯერობით საბჭოს განზრახული აქვს კურსები პეტერბურგსა, მოსკოვსა, ყაზანსა, ხარკოვსა, კიევსა, ოდესასა და ტომსკში გახსნას. ამასთან ერთად კურსების ყურისმგდებელნი პრაქტიკულად და თეორიულად იმეცადინებენ ბაღოსნობისა, მებოსტნეობისა და მეფუტკრეობის საგნებიდამ. მისის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის შუამდგომლობით ტფილისშიაც თურმე გაიხსნება ასეთივე კურსები. სასოფლო სამეურნეო საგნების პრაქტიკულადა და თეორიულად შესასწავლებლად სახელმწიფო ქონებათა და სამეურნეო სამინისტროს უწყებაში მოსამსახურე აგრონომები—ბ-ნი შავროვი და ტიმოფეევი მიუწვევიათ. ამათ უკვე სურვი[illegible] განუცხადებიათ.

*** გუშინდელ[illegible] გვქონდა [illegible] ალექსანდრეს ძე დინგელშტედტი გამოუგზავნია კავკასიაში წყლების საქმის გასარიგებლადაო.

ახლა ბ-ნი დინგელშტედტი უკვე ჩამოსულა ტფილისში და მალე საქმესაც შეუდგება.

*** მღ. ჯიჯავაძისა და სხვათა ნავთლუხელ მცხოვრებთა თხოვნა, რომელიც გუბერნატორისათვის მიურთმევიათ და რომლითაც ჩიოდნენ თურმე—ქალაქის გამგეობის განკარგულებით ჩვენის საცხოვრებელ სახლების მახლობლად აგროვებენ ნაგავს სულ რამოდენისამე საჟენის სიშორეზეო, ტფილისის გუბერნატორს ქალაქის გამგეობისათვის წარუგზავნია იგი. მომჩივნები ამ უწესოებას მთლად ქალაქის თვით-მმართველობის უსინდისო და წინდაუხედავს საქციელსა და ქალაქის ინსპექტორის ბ-ნის სტეფანიანცის ანტი-სანიტარულს მოქმედებასა და ნათლუხის მცხოვრებთა აბუჩად აგდებას აწერენ და სთხოვენ გუბერნატორს, რომ მფარველობა გაუწიოს.

*** იმ დაძველებულ დუქნებისათვის, რომლებიც ტფილისის სიონის ტაძრის გვერდით იმყოფებიან და [illegible]ებიც სახელმწიფო ქონებათა [illegible]თვნიან, საგუბერნიო [illegible] მმართველობის [illegible] ფილებას ყურადღება მიუქცევია და ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობისათვის უთხოვნია დაუყოვნებლივ აშალეთ ეს სახლები, რადგანაც მეტად დაძველებულნი არიან და გამვლელ-გამომვლელთათვის საშიშია, არ ჩამოიქცნენო.

*** ტფილისის ტრამვაის სააქციონერო საზოგადოებას წარსულს წელს 406,183 მან. აუღია, ხოლო ავჭალის ქუჩის ცხენის რკინის გზას—66,213 მან.

*** შაბათს, 7 ივნისს, ტფილისის 1-ლ გიმნაზიის წარმომადგენელს ბ-ნს აგაპიევს, რომელიც ქალაქის ხმოსანთა არჩევანებში იღებდა მონაწილეობას, ტფილისის გუბერნატორისათვის საჩივარი წარუდგენია. ბ-ნს აგაპიევს საჩივარში ნაჩვენები თურმე აქვს ყველა ის საბუთები, რომელთა გამოც შეიძლება არჩევანები გაუქმებულ იქმნენ. იმ შემთხვევაში, თუ მართლა არჩევანები გაუქმდება, საჭიროა გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოში სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელთ მოილაპარაკონ როგორ და რა წესით უნდა მოხდეს შემდეგი არჩევანები; მით უფრო, რომ დღევანდელი ქალაქის დებულება ამის უფლებას იძლევაო.

*** ბ-ნ ალ. ჯაბადარის წინადადებით, ტფილისის ქალაქის გამგეობამ

## ფელეტონი

ნაწყვეტი

—

ტყუილად მყეფავ, ავდები,
შენ მე ვერ გამიმკლავდები,
ბუდევ ბოროტის სულისავ,
კლდესავით მოგიზვავდები,
თავს დაგენგრკვი, გაგსრესავ,
ქაჯებსაც შევუყვარდები,
რომ მოგკლა მათი სატანა
და მოვაშორო დარდები.

დ. მაჩხანელი

### ზურაბის კოშკი

(პატარა სურათი თუშების ცხოვრებიდგან).

(დასასრული *)

მზე კიდეც იწურებოდა, როდესაც სოფლის ბოლო კოშკიდგან მოისმა თოფის გრიალი. არ გავიდა ბევრი ხანი და მთელი სოფელი თოფის ალში გაეხვია. ლეკის ჯარი ჯიანჭველასავით მოედო სოფელს. გატეხა რამდენიმე კოშკი. შესცვივდნენ ლეკები, როგორც მშიერი მგლები, და დიაცნი, დედები თავისის უსუსურ ბავშვებით გამოჰყავდათ გარეთ. საცოდავი მანდილოსნები, მანდილ-ახდილნი, თმა-გაწეწილნი, ფეხ-შიშველნი, დარბოდნენ სახლებ შუა კივილით: „ვაიმე, გვიშველეთ, გვიშველეთო!.." მაგრამ მათი საცოდაობა ლეკს არ ესმოდა. ხავსით მოსილმა ლეკის გულმა არ იცოდა რა არის შეცოდება. დედების უბედურებაზედ ლეკები ხარხარებდნენ. ხელიდგან ჰგლეჯდნენ შვილებს და დიდის სიამოვნებით, სინჯავდნენ ხანჯლისა და ხმლის სიმასრეს [illegible] ლის ნაკუწებს უბედურს დედებს კალთაში უყრიდნენ და თანაც ლმობიერად ეპატიჟებოდნენ: „ჭამე, თუშის გოგო!" რაც გამოსაყენებელს ნივთსა ჰშოულობდნენ, გამოჰქონდათ და დანარჩენს ცეცხლს უკიდებდნენ. დატრიალდა ჰელოს ჯოჯოხეთი და ღვთის რისხვა. ცეცხლი, თოფის ალი, სისხლი, მკვდრები არეული იყო ერთი-ერთმანეთში. ერთის სიტყვით, პატრონი ვეღარ იცნობდა თავისს შვილს.

სოფლის ყოველ ორღობეში თუშის მეომრები, გაафთრებულნი, მედგრად ებრძოდნენ მტერს, ძვირად უსვამდნენ თითო ნაბიჯს, მაგრამ ნათქვამია: „ერთს რომ ასი გცემდეს, კლდეც რომ იყო, გაგტეხს მტერიო".

ორი-სამიოდე კოშკი კიდევ იდგა უვნებლივ ლეკებით გარშემორტყმული, რომლის შორის იყო ზურაბის კოშკიც. ზურაბის კოშკი ითვლებოდა ერთ უმაგრეს ციხეთაგანად არამც თუ ჰელოში, არამედ მთელს ხევში და იმ იარაღით, რა იარაღიც ჰქონდათ, საზოგადოდ, ჩვენ კავკასიონის მთიელებს, შეუძლებელი იყო კოშკის გატეხა, მით უმეტეს, რომ ზურაბის კოშკი უხერხო ალაგას იდგა მტრისათვის. ლეკებმა სხვა ღონისძიება იხმარეს: კოშკის გარშემო დაჰყარეს ბლომად ხმელი ფიჩხის შეშა და მისცეს ცეცხლი, რომელიც, როგორც ნავთ-დასხმულს, სასწრაფოდ მოედო. ცეცხლის ენამ მიაღწია მეორე სართულის [illegible] [illegible] გადმოვიდა კარებზედ და ცოტა ხნის შემდეგ კარების მაგიერად შავი გამოქვაბული გამოჩნდა კოშკის კედელში. დასცეს საშინელი სიხარულის კიჟინა ლეკებმა და კიჟინს მოჰყვა თოფის გრიალი. როგორც სეტყვა ზუზუნით მოდიოდა ტყვია და შიგნით კედლებზედ ნატყორცნი დაბლა იატაკზედ სცვიოდა. ზურაბი, რომელიც აქამდის დაუღალავად მხარს უჭერდა შვილს, შეიქნა მტრისაგან ნასროლ ტყვიის მსხვერპლად. გულის ფიცარ-შენგრეული დაეცა იგი. მამის დანახვაზედ მიქელი, როგორც დაზხამული, წამოვარდა და რამდენიმე ხანი, უძრავად, ნაცრის ფერ გადაკრული დააშტერდა თავისს მამას, რომელიც ტყვიით განგმირული საშინელის წვალებით ებრძოდა სიკვდილს და მილეულ, ჩამქრალ თვალებით შესცქეროდა შვილს, რომ უკანასკნელად დამტკბარიყო საყვარელ შვილის ცქერით. უცბად გაიელვა მოხუცის თვალებმა, ზურაბმა წამოიწია, გაიშვირა შვილისკენ ხელი და ჩუმად, ხრინწიანი ხმით „მიქელო" წამოიძახა. მამის ხმაზე შვილი მთლად ათრთოლდა, თითქო გამოეღვიძაო, „ზურაბო!" შეჰბღავლა და მივარდა მამას, მაგრამ მამა მისი აღარ იყო ცოცხალი. მამის სიკვდილთან შვილს გაუვარდა ხელიდგან თოფი. იდგა მივიწყებული, ვეღარ მოჰყავდათ იგი გონს ვერც თოფის გრიალს, ვერც ცეცხლის ტკაცა-ტკუცს, ვერც ხალხის კივილ-წივილს. მის შურისძიებისაგან დაღმეჭილ სახეს საზარელ სანახაობას აძლევდა თოფის წამლისაგან დამწვარი, შავად დალურჯებული, თითქმის [illegible] მარჯვენა თვალი და ლოყა, რომელიც კონდახის ცემისაგან მთლად დაბუჟებოდა.

ამ მდგომარეობაში იყო მიქელი, როდესაც მოესმა მას გარედგან საზიზღარის ლეკის კიჟინა: „თუშის ქალო, მოდი ჩვენთან, მოდი!.." ეს ქალი, რომელიც თავს დასტიროდა ზურაბს, იყო თექვსმეტის წლის მშვენიერი მარო—ასული მიქელისა. მარო და მისი დედა ეთერა ეშველებოდნენ პირველი მამას და მეორე მამამთილს თოფის სროლაში. როგორც ზურაბს, აგრეთვე მიქელს ორ-ორი თოფი ჰქონდათ. ზურაბი და მიქელი ესროდნენ და ეთერა და მარო სტენდნენ თოფებს. როდესაც ზურაბი ტყვიით განგმირული დავარდა, მარო წივილით მივარდა და თავს დასტიროდა საყვარელ პაპას, რომელიც სულს არა ჰზოგავდა მისთვის.

ლეკებმა დაინახეს მარო თუ არა, დაიწყეს საზიზღარი ოხუნჯობა და უპატიურ სიტყვებთან სიცილ-ხარხარი. ლეკის ოხუჯობა და ხარხარი როგორც დანა, ისე ჰკოდავდა მიქელის გულსა, რომლის სიღრმიდგან ხანდისხან გაისმოდა მომაკვდავი კვნესა და გმინვა. მან ხმა-ამოუღებლივ მიიწია გარედ გასასვლელად, გადასდგა კიდეც რამდენიმე ნაბიჯი წინ, მაგრამ, თითქო ვიღაცამ შეაჩერაო, უცბად შესდგა. მოიხედა მამისაკენ და მთრთოლვარე ხმით წამოიძახა:

— მოვდივარ მეც, მამავ! და ვფიცავ სალოცავებისა და წმიდა გიორგის მადლს, შენს პატიოსან სულს, რომ ღირსეულად [illegible] შენი შვილი მიქელი...

ამ სიტყვებთან მიქელი ხმალ ამოღებული მიეშურა ძირს, რომ ქვეშა სართულიდგან გასულიყო და ჩარეოდა მტერს. ის იყო უნდა ჩასულიყო, როდესაც ეთერა მივარდა უკანიდგან, შეაჩერა და მრისხანე კილოთი შეუტია:

— სად მიდიხარ მიქელო, ჩვენ რას-ღა გვეუბნები, რომ თავს გვანებებ?

— მერე, თქვენთან რომ დავრჩე, რას გიშველით, გადაგარჩენთ განა?

— ჩვენ არა გთხოვთ შველას და გადარჩენას. შენ და მამის შემდეგ რაღა სიცოცხლე გვინდა.

— არ მესმის მაშ, რა გწადიან და რას მეუბნები, ეთერო!

— შენი ოჯახი შენივე ხელით გინდა გააბუსურმანო, მიქელო! აი რას გეუბნები. რას იტყვიან თუშები, ხომ დაგძრახავენ: ციხე გაუტეხეს, მამა მოუკლეს, ცოლშვილს თავი დაანება, მტრის ხელში დაყარა და თითონაც მოკლესო!..

— მაშ რა გიყოთ, ქალო, თქვი... რა გინდა?... არევით შეჰყვირა მიქელმა.

— შენის ხელით სიკვდილი, მიქე

*) იხ. „ივერია" № 112.

დაუდგენია: ხორცს, რომელიც ქალაქის საყასბოდგან გამოდის გასასყიდად, ტყვიის ნიშანი ჰქონდეს მიკრული. ამგვარად, ყველას შეეძლება ამ ტყვიის ნიშნით დარწმუნდეს, საყასბოში დაკლულს და ბეითალთაგან გასინჯულ საქონელს ყიდულობენ, თუ ჩუმად დაკლულსა.

ამასთან ტყვიის ნიშანთან ერთად მიმაგრებული იქნება პატარა კარტონი, რომ ამ რიგად ქალაქის გამგეობის კონტროლმა კვალი დასტოვოს რამე თვისის მოქმედებისა. კარტონის ფერი ყოველ დღე გამოიცვლება. დღეს რომ თეთრის კარტონით გამოვიდეს საყასბოდან ხორცი, ხვალ წითელი კარტონით გამოუშვებენ, ზეგ მწვანითა და სხვა-და-სხვა.

ჩვენმა გაზეთებმა რომ მოახერხონ და წინადღითვე გამოაცხადონ, ხვალ საყასბოდგან ხორცს მწვანე კარტონის ნიშნები ექნებაო, ამ სიცხე-პაპანაქებაში ყველას შეეძლება ყოველთვის ახალი ხორცი მოსთხოვოს ყასაბს და ძველს ხორცში არ აძლიოს ფული. „ცნ. ფურცელი“.

*** გუშინ წინ ღამის ორ საათზედ გაზ. „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ღია ფანჯრიდგან ქურდები შესულან და რედაქტორის ოთახიდგან სხვა და-სხვა ნივთები გაუტანიათ, მომეტებულად-კი ვერცხლეულობა, ღირებული ოც თუმნამდე. მას შემდეგ შესულან მეორე ოთახში და ტანისამოსები მოუგროვებიათ, შეუკრავთ ბოხჩა და ის იყო, როცა ფანჯრიდან გადასვლას აპირებდნენ ამ დროს მოსამსახურეს გამოჰღვიძებია და დაუყვირნია. ქურდს ბოხჩა იქვე დაუგდია, ფანჯრიდგან გადამხტარა და მოუკურცხლავს. თვითონ ვ. გუნია იმ დროს სახლში არა ყოფილა. ზოგიერთი ნივთები იქვე ეზოში უპოვნიათ, დამტვრეული და გაფუჭებული. პოლიცია ქურდებსა და ნივთებს დაეძებს; ნივთებს ზედ ვ. გუნიას სახელი და გვარი აწერია.

*** მოსკოვის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მეცხვარეობის კომიტეტის კავკასიის განყოფილების წევრთა 1-ლი კრება როსტოვში 4 ივნისს მოხდა თავადის შჩერბატოვის თავმჯდომარეობით. კრებას სულ 90 მეცხვარე დაესწრო. კრების მიერ განსახილველად შემდეგი საგნები იყო წარდგენილი: 1) შემდეგისთვის კომიტეტმა და განყოფილებამ რა ორგანიზაცია უნდა მიიღოს; 2) რა საშუალება უნდა იხმარონ ცხვრის ქეცის წინააღმდეგ; 3) სად და როგორ გაუჩინონ ბაზარი მატყლსა და საკლავს ცხვარს; 4) ცხვრების გამოფენის ორგანიზაციის შესახებ რა საშუალება უნდა იხმარონ; 5) საიდამ და როგორ მოიპოვონ კრედიტი მეცხვარეობისათვის; 6) მეცხვარეობისათვის მუშების დაქირავების საქმე რითი უნდა გააუმჯობესონ; 7) რა ნაირად უნდა შეიკრას გზა ცხვრის გასარეკად ჩრდილო კავკასიასა და სტავროპოლის გუბერნიაში; 8) მატყლის გადატან-გადმოტანის საქმის მოსაწყობად რა საშუალება უნდა იხმარონ და 9) იშუამდგომლონ იმის შესახებ, რომ ებრაელებს ნება მიეცეთ მატყლის სასყიდლად როსტოვში ჩავიდნენ ხოლმე. რადგანაც იმედია მეცხვარეები შემდეგშიაც მხარს დაუჭერენ კომიტეტსა და მისს განყოფილებას, თავმჯდომარემ წინადადება წარადგინა ამ ორს ხსენებულს დაწესებულებაში რაიმე ცვლილება შევიტანოთო, და ასეთ ცვლილებად აი რა დაასახელა: ეს ორი დაწესებულება შევაერთოთ და სამოქმედოთ ქალაქი როსტოვი დავუნიშნოთ, სადაც ყოველ წლობით შეიძლება შეერთებული სხდომები მოხდეს ხოლმეო. კრებამ ეს წინადადება ერთხმად მიიღო. კომიტეტმა ამავე დღეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს: „პეტერბურგი. ბატონს მეურნეობის მინისტრს. მეცხვარეობის კომიტეტის წლიურმა კრებამ, რომელიც ქ. როსტოვში მოხდა, დაადგინა თქვენს მაღალ აღმატებულებას თავისი უღრმესი და გულწრფელი მადლობა გამოუცხადოს იმ ზრუნვისა და შრომისათვის, რომელიც თქვენ აღმოუჩინეთ საფრანგეთში საკლავის ცხვრის ბაზრის მოპოვების საქმეში. სიამოვნებით ეგებება-რა კრება თქვენის მაღალ აღმატებულების კეთილს დაწყებულებას, შუამდგომლობს მიანდოთ პროფესსორს კულაშევს, რომ მან სამინისტროს ხარჯით 50-დე საკლავი ინგლისური ცხვარი შეიძინოს და მეცხვარეებს დაურიგოს იმ პირობით, რომ ხუთის წლის განმავლობაში უთუოდ დაუბრუნონ სამინისტროს ამ საქმეზედ დახარჯული ფული. კომიტეტის თავმჯდომარე თავადი შჩერბატოვი.

*** სად. ბაქო. 2 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, როდესაც ნავთით სავსე ქვაბები მიჰქონდა ორთქლით მავალს ნავთის ქარხნის პირ და-პირ, მატარებელს ქვეშ მოჰყვა სპარსეთის ქვეშევრდომი 40 წლის შურირ ბეგბალა-ბეგ ოღლი და მარცხენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული მაშინვე რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** სად. ფუთა. 9 ივნისს შამახის მაზრის ს. ყზმაიდანის მცხოვრებ გლეხ დურგალს მიხეილ გუსევს სახლის შენებაზედ მუშაობის დროს ჩალანგარი დაეცა და ხერხემალი მთლად მიამტვრია. დაშავებულმა ნახევარ საათის შემდეგ სული დალია.

*** სოფ. გიზელი, (კავკავის მაზრა): ამას წინად აქ ერთი არასასიამოვნო ამბავი მოხდა. სოფ. დარგავსელებს (მთა არის) ცხვრის ფარა მოუდიოდათ ბარიდგან მთაში. ცხვრის ფარა დარღავსელებმა გიზელის მინდორში დაასვენეს. აქ დარღავსელ მეცხვარეებს გიზელელ ოსის ძაღლმა პატარა ბატკანი მოსტაცა. მეცხვარეები გამოუდგნენ ძაღლს თოფით და ის იყო პატრონის კარებზედ რომ მივიდა, თოფი დაახალეს და ძაღლი მოჰკლეს. რასაკვირველია, ძაღლის პატრონები გამოუცვივდნენ მეცხვარეებს და დაუწყეს ცემა. ახლა მეცხვარეებსაც ამხანაგები მიეშველნენ, ძაღლის პატრონს მეზობლები და ასტყდა ერთი საშინელი ცემა-ტყეპა. სად იყო-სად არ იყო, მოვიდა გიზელის მამასახლისი და, იმის მაგივრად, რომ მოჩხუბრები გაეზავებინა, ისიც ძაღლის პატრონს წაექომაგა და ერთს მეცხვარეს ხლმის ყუაც დაარტყა. მეცხვარემაც არც აცივა, არც აცხელა და კომბალი დასთხლიშა მამასახლისს თავში და თავი გაუტეხა. მამასახლისმა ახლა-კი პირით დაარტყა ხმალი მეცხვარეს და მძიმედ დასჭრა. ჯოხით თავ-გატეხილი ბევრია. გამოძიება სწარმოებს.

*** 9 ივნისს, დილის $11^1/_2$ საათზედ, მეორე ნაგორნი ქუჩაზედ ძაღლმა დაჰკბინა ტფილისის მოქალაქის გიორგი სპირიდონის ძის დემუროვის 12 წლის შვილი ალექსანდრე. ყმაწვილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. პოლიციამ ძაღლი მოჰკლა.

*** 9 ივნისს, გრიბოედოვის ქუჩაზედ, თავიანთის სახლის აივანზედ თამაშობდნენ ქ. ტფილისის მოქალაქეთა ბავშვები 2 წლის ანტონი ზუბაშვილი და 4 წლის ნატალია გოგებაშვილი. თამაშობის დროს გაუფრთხილებლობისა გამო აივნიდამ გადაცვივდნენ და საშინლად დაშავდნენ.

*** 8 ივნისს, სასანიტარო ექიმმა გედევანიშვილმა მე-9 ნაწილის დუქნის გასინჯვის დროს, ალა ბათაევის ბაყლის დუქანში აღმოაჩინა ერთი ფუთი გაფუჭებული ბალი და ხუთი გირვანქა წამხდარი ტყემალი. ექიმმა მაშინვე გადააყრევინა როგორც ბალი, აგრეთვე ტყემალი.

## წერილი ს. მიქელ-გაბრიელიდგან.
(გურია)

ორიოდე სიტყვა.—ჩვენის სკოლის ბედიღბალი.—„პარტიობა“.— ძველი „ჯიხური“.—წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მივიწყებული საქმე.—„ყბად-ასაღები წყალწასაღები“.—„საკორწილაი“.

მგონია ამ სოფლის სახელი ორსამჯერ თუ გაუგონია მკითხველს და ისიც ძლივს-ძლივობით თითოჯერ წელიწადში. საკვირველიც არ არის: წელიწადში ერთხელ სტუმრად მოსული მეთვალყურე თუ აღნიშნავს გაზეთის ფურცელზედ ამ სოფლის საქმეში არსებობას, თორემ „საქმენი მისნი“ ვერ გვაცნობებენ, რომ იმასაც სიცოცხლის მარღვი უცემს. მიქელ-გაბრიელის სოფლის საზოგადოება გაშენებულია შავის ზღვის პირად, ამიტომ ის ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია; ჩვენი ხალხის თქმისა არ იყოს, აქაც „ქრისტე ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბერტყია“, მაგრამ სამაგიეროდ მკვიდრთათვის მოუკლია საქმის სიყვარული, დინჯად, გულ დადებით აწონ-დაწონვა სიმდიდრის მოხმარებისა და ახალის

ლო! აი რა გვინდა. რა ვაჟკაცი ხარ, თუ შენის ხელით არ დაგვხოცავ და ისე არ გახვალ.

— ხომ არ გაგიჟდი, ეთერო, რას მეუბნები. თქვენ სისხლში ხელი გავისვარო?

— შენის ხელით სიკვდილი გვირჩევნიან ურჯულოების ხელთ ცოცხლად ყოფნას, ვაჟკაცი არა ხარ? დაგვხოცე აქავე ჩვენს სახლში, შენის მამის გვერდით. დაჟინებით ეხვეწებოდა ეთერა.

— ღმერთო, მე ჩემის ხელით დაგხოცოთ ცოლი და შვილი... მერე ღმერთს რა პასუხი მივცე... ხომ წავწყმდი!..

— არ კი წაწყმდები, მადლს იზამ, მიქელო, ნუღარ გვიანობ, ჩქარა დაგვხოცე! წამოიძახა მარომ, რომელიც თმა გაწეწილი და დაჩოქილი იდგა მამის წინ და ცრემლით ევედრებოდა.

— ოჰ, ღმერთო შეჰბღავლა უბედურმა მიქელმა, ეს რა ჯოჯოხეთის ცეცხლი დამიტრიალე თავს!.. თუ ამ დღეს მარგუნებდი, რისთვის გამაჩინე და თუ გამაჩინე, რა დაგიშავე?!..

საშინელი ცეცხლის ალი ტრიალებდა მიქელის გულში. იგი იდგა უძრავად, გაშეშებული, ვერ მოსულიყო გონს და არ იცოდა რა ექნა და რა არა. მის გულში დაუძლავი ბრძოლა იყო: ერთის მხრივ ცოლშვილი ემუდარებოდა დახოცვას. დაეხოცა?.. მერე ვინ?—თავისი საყვარელი ცოლი და შვილი. როგორღა წამდგარიყო საიქიოს ღმერთის წინაშე?.. და მეორე მხრივ—მას ნათლად ეხატებოდა თვალ წინ საშინელი სურათი—მათი ურჯულოების ხელთ ყოფნა. ეს გრძნობანი სწეწავდნენ მის გულს ὂ რამდენადაც დრო გადიოდა, იმდენად უფრო და უფრო ცეცხლი ედებოდა, უფრო იტანჯებოდა და მით უფრო სხვა ნაირად ელმიჭებოდა სახე. ამ მდგომარეობაში იყო მიქელი, როდესაც მისი ათის წლის ვაჟი-გიორგი მივარდა დედას და შეჰკივლა: „დედილო, ლეკები მოდიანო!..“ მართლაც კოშკის ქვემო სართულიდან მოისმა ხმაურობა ეტყობოდა ლეკები შემოსულიყვნენ.

— აი, მოდიან ლეკები, მიქელო, გევედრებით დაგვხოცე ჩქარა, დაგვხოცე, თუ გწამს ჩვენი სალოცავები, წმიდა გიორგის მადლი. ნუ დაგვყრი ურჯულოების ხელში, ბღავილით მისცვივდნენ ცოლი და შვილი.

დაინახა მტირალი გიორგი თუ არა, მიქელი შეაშტერდა და დაიწყო.

— შენც მოგკლა, ჩემო გიორგი?!.. შეშინებული გიორგი მიეფარა დედას. ნუ გეშინიან, განაგრძო მიქელმა, არ მოგკლავ. შენ რას გიზამენ და რომ მოგკლან, რას გერჩიან... ტყვედ წაგიყვანენ, ღვთის იმედით დავაჟკაცდები და ან თუშებში მადლიანნი გამოჩნდებიან და გამოგიხსნიან... მაშინ, ჩემო გიორგი, მოხვალ ამ ჩვენ დანგრეულ, კომლ ჩამქრალ კოშკში და ნაფუძრების დანახვაზედ მოგაგონდება ეს საშინელი დრო, მოგაგონდება შენი პაპა ზურაბი, დედა, და ὂ უბედური მამა!.. იტყვი: აი, აქ დახოცა მამა ჩემმა დედა ჩემი და და... ნუ გამკიცხავ, გიორგი, ღმერთმა არგუნა შენს უბედურ მამას ეს ბედი. მამა-პაპის ნაფუძრებზედ ააშენებ ისევ კოშკს, აანთებ ბევრხან ჩამქრალ ცეცხლს და იცხოვრე, გიორგი, კეთილად, მხოლოდ არ დაგავიწყდეს შენი მოვალეობა: იყავ ვაჟკაცი, გიყვარდეს შენი მიწა-წყალი, რჯული და დაუძინებელი მტერი იყავ ურჯულოებისა!..

აქ უცბად მიქელს ხმა ჩაუწყდა. ლეკების ფეხის ხმა ამოდიოდა კიბეზედ. ფეხის ხმის გაგონებაზე ეთერა და მარომ შესძახეს.

— ვაიმე, მოდიან შეჩვენებულები! ნუ ჩასდგები ჩვენ ცოდვაში, მიქელო... ამოიღე ხანჯალი და მოგვიღე ჩქარა ბოლო...

— თუ შენ არ შეგიძლიან, მე მომე ხანჯალი, მე თითონ მოვიკლავ თავს, შესძახა მარომ და მოჰკიდა ხელი მიქელის ხანჯლის ტარს ამოსაღებლად.

იელვა ხანჯალმა და გულ-გაპობილი მარო ხმა ამოუღებლივ დაეცა მამის ფეხებთან. სისხლი ჩქეფით გადმოსდიოდა გაპობილ მკერდიდან. სისხლის დანახვაზედ ეთერას შეეშინდა, კივილით გაიქცა და კანკალით კედელს მიებჯინა.

— არა, არა... ნუ მომკლავ... მიქელო, ნუ მომკლავ, გევედრები. ჰკიოდა საშინლად მთლად გაფითრებული.

— როგორ?!.. არ მოგკლა?.. გეშინიან განა. შეგირცხვეს თუშის ქალობა! ჰაა ძაღლო, ძაღლო. ღვიძლი შვილი, ჩემი ჯიგარი მოვკალი პირველი და შენ გინდა ცოცხალი გაგიშო, რომ ლეკებს ტყვედ ჩაუვარდე? რომ უსირცხვილოდ და უნამუსოდ იცოცხლო, ურჯულოების ჩვენის დაუძინებელ მტრის, ჩვენი სახლის დამღუპველის ხელში? არა .. მაგის იმედი ნუ გაქვს... მიქელი მაგით არ შეირცხვენს თავს. შენც აქ, შვილთან, უნდა დალიო სული... მოდი აქ. იელვა მეორედ ხანჯალმა და ცოლიც მიაწვინა შვილთან.

გამოჩნდა კიდეც კიბეზე წინა ლეკი. მიქელი ხმალ ამოღებული მიეშურა კიბესკენ. „სად მოდიხარ, ლორო!“ ამ სიტყვებით შემოჰკრა ლეკს და თავშუაზე გაჩეხილი ჩააგორა კიბეზედ. მიქელი ჩავიდა ქვეშა სართულში, სადაც რამდენიმე ლეკი მგლებივით შემოესია, და ისე მრისხანედ შეუტია, რომ ლეკები ზარდაცემულნი იძულებულ იყვნენ გარეთ გავარდნილიყვნენ. მიჰყვა გულდაკოდილი მიქელი და, როგორც დაჭრილი ლომი, ჩაეჭრა ლეკების გუნდში, რომელიც კოშკის წინ იდგა. ლეკები პირველად აირ-დაირივნენ, მაგრამ ბოლოს რა ნახეს, რომ ერთი კაცი იყო, ირგვლივ შემოერტყნენ და სურდათ როგორმე ცოცხალი შეეპყრათ, წაეყვანათ ტყვედ და შემდეგ ძვირფასად დაებრუნებიათ. მაგრამ მიქელი არ იყო იმათგანი, რომელთაც ნაძრახი სიცოცხლე ურჩევნიათ სიკვდილსა სახელოვანსა. ცოცხლის დაჭერის იმედ-მიხდილ ლეკებმა დაუშინეს ხმლები (თოფის სროლა არ შეეძლოთ, თავიანთებსავე მოახვედრებდნენ). რამდენიმე ალაგას დაჭრილი მიქელი იბრძოდა მედგრად და ძვირადაც უსვამდა მტერსს თავისს სიცოცხლის ყოველ წუთს, მაგრამ უფრო და უფრო, რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად ილეოდა სისხლით, ძალა აკლდებოდა და სიკვდილი უახლოვდებოდა. ამ განწირულ დროს მას მოესმა პატარა გიორგის საშინელი წივილი: „მიქელო, მამა.... მიშველე.... მიშველე, ლეკებს მივყევარ!...“ მაგრამ მამას შველა აღარ შეეძლო; მამის სიცოცხლის წუთებს დათვლილი იყო. მაინც მიიწია იქითკენ, საიდგანაც შვილის ხმა მოესმა, მაგრამ გადასდგა ერთი ნაბიჯი შვილის საშველად თუ არა, მტრის მახვილით განგმირული დაეცა უსულოდ.

—

მიქელთან ერთად მოისპო სიცოცხლე ზურაბის კოშკში, რომლის დანგრეული კედლები ეხლა ჩიტების საბუდრად შექმნილა და გამვლელ-გამომვლელ თუშს მოაგონებს იმ საშინელს სისხლის დროს, რომლის მოწმეც არის იგი. ტყვედ წაყვანილ გიორგის მუხთალმა სიკვდილმა მოუღო ბოლო, ვერ აიტანა ტყვეობის მძიმე უღელი. ფუნჩამ შეატყობინა სხვა თემის თუშებს, გამოვიდა ლაშქარი, მაგრამ ლეკები ჰელოს წახდენისათანავე დაღესტანს გადასულიყვნენ.

მიქელი ეხლაც სცოცხლობს თუშების ხსოვნაში ქორწილსა და დღეობებში, ან ზამთარში ცხვრის ფარეხში ოდნავ ჩამქრალ ცეცხლის პირას ნაღვლიანის ხმით დამღერის ხოლმე ვინმე მოხუცი თუში ფანტურზედ ლეკებისაგან ჰელოს წახდენის სიმღერას, რომელიც აუწყებს მსმენელს:

„ . . . . . . . .
მიქელმა ზურაბის ძემა
რა საქმე მაიხდინაო,
თვითონ დახოცა ცოლ-შვილი,
სულეთი წაიხდინაო!..“

ხალხი ამართლებს მიქელს და ამასთანავე სწყევლის მას, ვინც დასცინებს ამ გმირს.

„დღენიმცა ერგოს ეგეთი,
ვინც მიქელს გაუცინაო!..“

ივ. ბ—ლი.

ცხოვრების შეთვისების უნარი. აქაურს მკვიდრს, ვინც უნდა იყოს იგი, გლეხი თუ აზნაური, სამღვდელო პირი თუ ვაჭარი, „ერი თუ ბერი" სულ ერთია, ასე ჰგონია, რომ ქვეყნის ერთი კიდე იმათი მოსაზღვრე-მეზობელი შავი ზღვაა და მეორე აჭარა-გურიის მთები; მთას გადაღმა რაც ხდება, იმას რას დაეძებს მთელს საზოგადოებაში ორას ორმოცდა ათამდე კომლი მცხოვრებია. საზოგადოებას აქვს სამიოდე წლის წინ ორ-კლასიანად გადაკეთებული სასოფლო სამინისტრო სკოლა, მაგრამ... ვაი ასეთს გადაკეთებას! „არც შემწვარია და არც მოხარშულიო", რომ იტყვიან, ეს არის! არ იქნა და ვერ გაღირსეთ სკოლის შენობას! სწავლის მსურველთა რიცხვი ყოველ-წლობით ჰმატულობს. ბავშვების მოსათავსებელი ადგილი-კი არსად არის. ხან ერთ მახლობელს სახლს შეაფარებენ თავს მოსწავლეები და მათთან ერთად ჯვარცმული მასწავლებელი, ხან მეორეს, ხან სოფლის კანცელარიას და ერთის ვაი-ვაგლახით მოელიან, სანამ იმათი მხსნელი კურთხეული წლის ბოლო მოაწევდეს. შემოდგომაზედ სურათი ისევ ახლდება. სკოლის ძველი შენობა, სიპატარავეს გარდა, სიძველის გამო ლამის ჩამოინგრეს. სახურავში წვეთი ვერ შემაგრებულა, მასწავლებელი შიგ ვერ დამდგარა, ბავშვები რის ვაი-ვაგლახით წვალობენ, ჩვენ-კი გულ ხელ დაკრეფილი შევყურებთ. ამის მეტი გულ-გრილობა განა შესაძლოა?! მის მაგიერ, რომ ჩვენის ბავშვების აღზრდისათვის ვიზრუნოთ, ახალს ცხოვრებას ჩავეჭიდოთ და მხარ-და-მხარ მივყვეთ, ჩვენ ჩანჩალით მივდევთ და ფეხშიც ვერ წაგვიღია ხელი.

დაგვღუპა ჩვენმა საზოგადო სენმა, ძველმა სატკივარმა, მიქელ-გაბრიელში კარგად ცნობილმა „პარტიობამ!" დავიწყეთ თუ არა ახალის შენობის საქმე, ასტეხეს ზოგიერთმა ვაჟ-ბატონებმა ჩოჩქოლი, არა, ჩემ კართან უნდა იქმნას ახალი სკოლა, არა, ჩემ კართანაო და აი, მშვენიერი შედეგიც. თუ სკოლისთვის ვინმეს გული შესტკიოდათ, იმათ ზურგი გვიჩვენეს და წინანდელის მუდმივის ჩიჩინით აღარ გვაწუხებენ. მახსოვს, ერთხელ „ურილობისა" და ჩოჩქოლ-მითქმა-მოთქმის შემდეგ ერთი სოფლელი ინტელიგენტი, რომელსაც არა ერთხელ უნახავს სოფლის საქმეები და ბევრჯელ მხურვალე გულითაც უმუშავნია სოფლისთვის, დაღვრემილის სახით მოვიდა და მითხრა: „გზადაც ნუ გამიარია მაგათთან ამის შემდეგო!" ზოგიერთის ვაჟბატონებისათვის სკოლა ჩვარში გასახვევი ამბავია, „პარტიობა"—თევზის საჭერი მღვრიე წყალია! რამდენსაც მეტს აამღვრევენ, იმათთვის უკეთესია! იმათ რა ენაღვლებათ, ძმა ძმას წაჰკიდონ, ერთი სოფელი მეორეს მოაცალონ, ცალკე დაასკუპონ, საზოგადოება დაუძლურონ და სკოლას „მეფისა და შვილების" იგავი აუხდინონ! მადლობა ღმერთს, „პარტიობის" დამამხობელი მოქმედების მაგალითი იქვე თვალ-წინ გვაქვს და მიკვირს, რა ადრე დავივიწყეთ. ოთხი-ხუთის წლის წინ სასულიერო მთავრობის განკარგულების თანახმად მოვინდომეთ ახალის ეკკლესიისთვის შენობის აგება. „მეთევზეებმა" იწყეს წყლის მღვრევა. გაჩნდა უთანხმოება შენობისთვის ადგილის ამორჩევის გამო. გაიყო სოფელი ორად: ერთი მხარე და „მეთევზეები" არჩევნის თოკ-ბაწრებს ჩქარით მეზიდებოდნენ, მეორე-კი ვაი-ვაგლახით ჯიხურისაკენ *) (გორაკია) მიათრევდა. ძველად ეს გორაკი ჩვენ მტერ მაჭმადიანებთან საბრძოლველი ადგილი იყო. ჩვენი მამა-პაპები აქედგან სცემდნენ ზუგ-ნაღარ-საყვირსა და თანამოძმეებს ქვეყნის ასაოხრებლად შემოსეულს ბარბაროსებთან საომრად იხმობდნენ, მშვიდობიანობის დროს კი „ჯიხური" ძმათა შორის თავ სატეხად გარდაიქცა! ორიოდე „ძლიერმა ამა ქვეყნისა" ერთს მხარეს თავიანთის მფარველობით კალთები გადააფარეს და როცა „მეთევზეთა მათითა" საქმე გამწვავდა, მაშინ ჩვენებურმა კუდ-მომწვარმა თავ მოყვარეობამ საქმის ხელის გაშვება აღარ დაანება. საჩივარი საჩივარზედ იგზავნებოდა მთავრობასთან „გამდგარებისაგან", მაგრამ მაღამ ადმართი ჰქნა და ერთს მშვენიერს საღამოს ვიღაც ბრაზის გამო მოთმინებიდგან გამოსულმა ერთი მხარის მიერ აგებული უკურთხებელის ეკკლესიის შენობა ცეცხლს მისცა. დადგა ამის შემდეგ ნამდვილი უკუღმართობის დრო: ვითომდა დამნაშავენი **) ციხის კედლებ შუა მოამწყვდიეს, თითო კომლს 60—70 მანათი ფული გადახდა ახალის ეკკლესიის ასაგებად და უიმისოდაც ღატაკი გლეხი ერთხელ და სამუდამოდ გატყდა წელში. ბევრი მათგანი 70 მანათს ერთად თავისს სიცოცხლეშიც ვეღარა ჰნახავდა, მაგრამ „შიში მაჩვენე, მუხლს გაჩვენებო", მართალი უთქვამს ძველებს. ამას ვინღა ჩიოდა თუ უარესიც არ მოგვსვლოდა: სადაც თავს გამოჰყოფდი კარში, ყველა თვალში და ყურში გჩხირებდა: „გურულებმა ეკკლესია დასწვესო!" იმის განუკითხავად, ვინ დასწვა და ვინ დაასხა... „მეთევზეები"-კი დღესაც არხეინად დაპარპაშობენ და „ალიას ფლავი, დარდიაო", რომ იტყვიან, ისევ წყლის ამღვრევას სცდილობენ. ნუ თუ ამის შემდეგაც არ გვმართებს, შეერთება და საერთო ძალით ჩვენის სკოლის ბედ-იღბალის სასურველად გადაწყვეტა?! იმედია, ჩვენი სოფელი ამდენის ხნის ჩოჩქოლის შემდეგ გულ-დადებით განიხილავს თავისს არა სასურველს მდგომარეობას, ამ ზაფხულში ერთხელ კიდევ სცდის ბედს და მომავალ სექტემბრისთვის ჩვენს „კლასის საქმეს" მაკურნებელ მალამოს დაადებს. ამას ითხოვს ჩვენი ვატური ვაცობა, სიკეთე ჩვენის ბავშვებისა, რომელთაც ასე სწყურიათ სწავლა.

არა ნაკლებ საჭიროა ჩვენთვის წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსება. თითქმის გურიის ყველა სოფელს ეღირსა სულიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მხოლოდ ჩვენ არ გვეშველა და არა! წლის განმავლობაში სად ნახავ ან ერთს გაზეთს, ან ჟურნალს, თუმცა ამისთვის ფულის გადახდა რამდენიმეს მაინც შეუძლიათ. რასაკვირველია, აქაურ ვაჭრებში მაინც ამისთვის შეძლება „რა შუაში და რა კიდეშია!" ჩვენმა საზოგადოებამ უნდა შეიგნოს, რომ თუ ბავშვი მარტო სკოლას შესცქერის, შორს ვერ წავა: ბავშვს, სიცოცხლით სავსე არსებას, მარტო სკოლის მკვდარი ანაბანა და ისიც კიდევ „მუნჯურის მეთოდით" მიწოდებული, გონებას ვერ გაუხსნის. მისთვის საჭიროა წიგნები. ორის წლის წინ ორიოდემ კიდეც სცადეს ჩვენში ბიბლიოთეკის დაარსება, მაგრამ იმათი უიმისოდაც სუსტი მალღონე ქვას დაეტაკა და ბრძოლის ველი მიატოვეს, რადგანაც არც ფული იყო, არც შენობა და არც საჭირო მომზადება. თუ სკოლის შენობა გვეღირსა, ერთი ოთახი უთუოდ მომავლის წიგნთსაცავისათვის უნდა გაკეთდეს.

*) ნიშნავს სადარაჯოს.

**) როგორც აღმოჩნდა შემდეგში გამოძიებით და მართლ-მსაჯულებით, ბევრნი შეპყრობილთაგანნი სრულიად უბრალო იყვნენ.

„კარგი კაცი გაჭირვების ტოლკვესიაო", იტყვიან. განა ჩვენც რომ დროს შესაფერი წინამძღოლები გვყავდეს, არა მგონია, რომ ასე უკან ვიყვნეთ ჩამორჩენილნი ყველაფერში. საქმეც ის არის, რომ თითქოს „დაკვლებულიო" კართ: გურიის სოფლები კარგა ხანია შეუდგნენ სოფლის მოხელეებად ღირსეულ კაცების არჩევას, ჩვენ-კი რაც არჩევანია, უკან მივიწევთ. აი ახლაც გვყავდა ცოტაოდენ შეგნებული კაცი, ჩასჭიდა ხელი საქმეებს, ერთს ნაბიჯს მაინც წაგვადგმევინებ წინ სოფელსაო, მაგრამ... დასე უკუღმართობას! მოაწია არჩევნებმა, დაჰქროლეს „მეთევზეებმა", დაფრთხნენ იგზები და ჩვენი მამასახლისი „შავ ცხენზედ" შეაჯდინეს. არ იკითხავთ, ვის ჩააბარეს საზოგადოების მამობა? კაცს უოჯლად პატიოსანს, მართალს, მაგრამ რა უნდა იზრუნოს სოფლისთვის იმ კაცმა, რომელიც თავისს დღეში კვრას არ მოშორებია?!

ამ ჟამად-კი სუფსაში სამკითხველოს დაარსების საქმემ ჩაილურის წყალი დალია; აზრი აზრად დარჩა, საქმე ქარმა წაიღო! ჩვენს სოფელში „გიორგობას" (23 აპრილს) მამასახლისმა „საკირწიალეა" (საქანელა) გააკეთა; მრავალი ხალხი შეიკრიბა სეირისთვის, ბოლოს ორონ-ტრიალიც გაჩნდა: „მთვრალი მთვრალს ეჭიდებოდა, სხვა კი სიცილით კვდებოდა!.." და სხ. ზეჩავი მამასახლისი საზოგადო საქმეების მაგიერ „საკირწიალას" აკეთებს! „უბადლობა-წყალ-წასაღებიო", რომ იტყვიან ეს არის! სოფლელი ტეტიაც კრიტიკულის თვალით უცქერის „საქმეთა მისთა!" ჩვენმა სოფელმა წარსულ არჩევნებზედ ერთხელ კიდევ დაამტკიცა „შენი არც შემოტანილი მინდა, არც გატანილიო!"

მაშას! გემოვნებაც და აზროვნებაც ათას გვარია!

ვ. სეფისპირელი

## ქალაქის საბჭო

წაკითხულ იქმნა იმ ხმოსანთა გვარი და სახელი, რომელნიც წარსულს კრებებს არ დასწრებიან.

საბჭომ კანონიერად სცნო იმათის დაუსწრებლობის მიზეზი.

შემდეგ გამგეობის წევრის ვერმიშევის მიერ წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ საბჭომ გადასდოს 10,000 მანეთი ქუჩების შესაკეთებლად და მოსაკირწყვლად. მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ქუჩების შესაკეთებლად გადადებული ყოფილა ამა 1897 წლისთვის 30,000 მანეთი. ეს ფული გამგეობას ამ რამდენსამე თვეში უკვე დაუხარჯავს და ეხლა, რადგანაც ზოგიერთი ქუჩები ძალიან ცუდს მდგომარეობაშია, იმათის შეკეთებისათვის, საჭიროა კიდევ 20,000 მანეთი, ხოლო რადგანაც ამდენი არ შეიძლება გადაიდოს უფულობისა გამო 10,000 მან. მაინც საჭირო არისო.

ხმოსანმა ხუდადოვმა მიაქცია საბჭოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ გამგეობას ქუჩების შეკეთების და მოკირწყვლის საქმე კარგად არა აქვს დაყენებული და თანაბარ მზრუნველობას არ იჩენს ქალაქის ყველა ქუჩების შეკეთებაში. მაშინ, როდესაც უმთავრესი ქუჩები საუკეთესოდ არიან მოკირწყლული და გასუფთავებული, ქალაქის განაპირა ქუჩებს გამგეობა არავითარს ყურადღებას არ აქცევს და ზოგიერთი სულაც არ არის მოკირწყლულიო. ამიტომ სასურველიაო, გამგეობამ არა მარტო მდიდართა კეთილდღეობისთვის იზრუნოს, არამედ ღარიბთა მდგომარეობასაც მიაქციოს ყურადღებაო. გარდა ამისა, ექ. ხუდადოვის აზრით, გამგეობა მოკირწყლული ქუჩების შეკეთებასაც თავის დროზე არ შეუდგება ხოლმე, რის გამოც შემდეგ ტყუილ-უბრალოდ მეტი ფული იხარჯება.

ხმოსანის თაიროვის აზრით საჭიროა დაარსდეს ქვის და ქვიშის საწყობი, რომ ქალაქს მუდამ მზად ჰქონდეს საჭირო მასალა ქუჩების მოსაკირწყვლად და შესაკეთებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ქუჩების შეკეთების საქმე არაოდეს არ იქმნება კარგ ნიადაგზე დაყენებული, რადგანაც ზოგჯერ, მაგალითად, მტკვრის ადიდების დროს, ქვიშის და ქვის გამოტანა მტკვრის ნაპირიდგან შეუძლებელი ხდება, რის გამოც ამ დროს ცოტად წამხდარი ქუჩების შეკეთება ნება უნებურად გადაიდება ხოლმე და შემდეგ-კი მეტი ფული და შრომა საჭიროა.

ხმ. ყორღანოვის აზრით ფული ბევრი იხარჯება და ქალაქის ქუჩები მაინც არ არის კარგ მდგომარეობაში. რაც უნდა კარგად მოიკირწყლოს ქუჩა, სამი ოთხისა ან სულ ბევრი ნახევარის წლის შემდეგ მაინც ხელ ახლად სჭირდება შეკეთება, რადგანაც იმ ნაირად მოკირწყვლა, როგორიც ეხლაა მიღებული, ვერ არის კარგი. ამიტომ საჭიროა საბჭომ და გამგეობამ ახალი რამ საშვალება შემოიღოს ქუჩების მოკირწყვლისა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეწყოს ეგ საქმე. რაც შეეხება იმ 10,000 მან., რომელსაც ეხლა გამგეობა თხოულობს, ეგ ფული გადავსდოთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ გამგეობამ მარტო რიყის მოედანი და ავჭალის ქუჩა შეაკეთოს ისე, რო შემდეგისთვის საწვალებელი არ გაგვიხდეს.

საბჭომ დაადგინა: გადასდოს 10,000 მანეთი უფრო წამხდარის ქუჩების შესაკეთებლად.

შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მწერლის სემენკოს თხოვნა. სემენკო სთხოვს საბჭოს ფულით დახმარება გამიწიეთ, რადგანაც ავად მყოფობის გამო სამსახურს თავს ვანებებო.

საბჭომ დაადგინა აღუჩინოს დროებით დახმარება სემენკოს.

საბჭომ მიიღო ქალაქის თავის თანამდებობის დროებით აღმასრულებლის წინადადება შესახებ 600 მანეთისა, რომელიც ქალაქის ხმოსნების არჩევანებისთვის უნდა იქმნას გადადებული. ამ საქმისთვის წინად გადასდო საბჭომ რამდენიმე თანხა, ხოლო რადგან არჩევანები გაგრძელდა და გადადებული ფული არ ეყო და 600 მანეთი კიდევ დასჭირდა.

საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ამშენებელ განყოფილებაში ანგარიშის ახალ მწარმოებელის თანამდებობის დაარსების შესახებ. რადგან ამშენებელ განყოფილებას მხოლოდ ერთი მოანგარიშე ჰყავს, რომელიც ყველა საქმეს ვერ ასდის, იგი თხოულობს მოანგარიშეს ახალი თანამდებობა იქმნას დაარსებული 1000 მან. ჯამაგირით. საბჭომ ცოტაოდენი კამათის შემდეგ შეიწყნარა ამშენებელი განყოფილების თხოვნა და დაადგინა: დაარსდეს პირველი მოანგარიშეს თანამდებობა და ამ თანამდებობის აღმასრულებელს წელიწადში 1000 მანეთი ჯამაგირი დაენიშნოს.

კრება დაიშალა $11^1/_2$ საათზედ.

## სასამართლოს მატიანე

თავ. ნ. დიასამიძის და თავ. ვ. თუმანიშვილის საქმე.

თავმჯდომარეობდა ოლქის სასამართლოს წევრი ბ. ბალდირევი, დაესწრნენ: სასამართლოს წევრი პარჩევსკი და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე ბახმეტიევი. თავ. ვასილ თუმანიშვილის მხრივ იყო ნაფიცი ვექილი ტერ-სტეფანოვი; ბრალდებულს თავ. ნ. დიასამიძეს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე ივ. ჯაბადარი.

ამ საქმისათვის დაბარებული იყო 26 მოწამე; გამოცხადდა მხოლოდ 18 კაცი.

თავ. ვასილ თუმანიშვილის საჩივარში სწერია: წარსულ წელს, 20 მაისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში არჩევნები იყო. თავ. თუმანიშვილი პირველ საათზე მოსულა არჩევანებზე, შესულა თეატრში, მაშინვე უკან გამობრუნებულა ქ კასსასთან ნაცნობთან დაუწყვია ლაპარაკი. ამ ლაპარაკის დროს იქვე ახლო მდგარა ნ. დიასამიძეც, მიუმართავს თუმანიშვილისთვის და უთქვამს: „თქვენს ძმას ჩემს შესახებ რაღაც დაუბეჭდია გაზეთში". თუმანიშვილს მიუგია, შენიშვნა ჩემს ძმას არ ეკუთვნისო და ბალისაკენ წასულა. ნახევარ საათის შემდეგ უკანვე დაბრუნებულა და როდესაც ბალკონზედ მიდიოდა სტვენა გაიგონა. თავ. თუმანიშვილი მობრუნებულა უკან და თავ. დიასამიძე დაუნახავს ჯოხით ხელში. „შენიშვნა თქვენი ყოფილაო" უთქვამს თავ. დიასამიძეს და ჯოხი დაუკრავს თავში. შემდეგ ხალხი მისცვივდა თურმე და გააშველეს.

თავ. ვ. თუმანიშვილის თხოვნის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა თავ. დიასამიძეს, სცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ ამ საქმეში, რაზედაც ბრალდებულმა მიუგო შემდეგი: მართალია მე ვცემე ჩემს ნათესავს თავ. ვ. თუმანიშვილს, მაგრამ ამ დროს მე საშინლად აღელვებული და გაჯავრებული ვიყავი. როდესაც თავ. თუმანიშვილს შევეკითხე შენიშვნის შესახებ, იმან კადნიერად დამიწყო ლაპარაკიო.

შემდეგ ამისა სათითაოდ ჩამოართვეს ჩვენება მოწმებს.

პირველად თვით მომჩივარი თავ. ვ. თუმანიშვილი ალაპარაკეს.

თუმანიშვილმა დაწვრილებით უამბო სასამართლოს ყოველივე და სხვათა შორის სთქვა, რომ თავ. დიასამიძე პირველ დალაპარაკების დროს სრულიად დამშვიდებული და დაწყნარებული იყოო. მე ისეთი არაფერი მითქვამს, რომ დიასამიძე გამებრაზებინა და მოთმინებიდგან გამომეყვანაო, ასე რომ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, როდესაც მომვარდა და თავში ჯოხი დამკრაო.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა ორთავეს შერიგებულიყვნენ. თავ. თუმანიშვილმა განაცხადა: შევრიგდები, თუ თავ. დიასამიძე აღიარებს,

რომ წინადვე განზრახული ჰქონდა ჩემი ცემა, რომ მე არაფრით არ გამომიწვევია ასეთი საქციელი და ბოდიშს მოიხდისო.

თავ. დიასამიძემ ასეთ პირობებზე შერიგებისა უარი განაცხადა.

მოწ. თავ. გ. დ. აფხაზი. მე ვნახე, რომ თავ. თუმანიშვილი მიდიოდა და თავ. დიასამიძეც უკან მისდევდა. უცბად თავ დიასამიძემ მოაბრუნა და შემოჰკრა. შემდეგ თავ. თუმანიშვილმაც ხელი გამოიღო და ამ დროს თავ. დიასამიძემ ჯოხი დაჰკრა თავში.

მოწ. თავ. ს. დ. ანდრონიკაშვილმა, თავ. კლ. ჩერქეზიშვილმა და თავ. დავით ჭავჭავაძემ სთქვეს, ჩვენ დავინახეთ დიასამიძემ რომ დაჰკრა ჯოხი თუმანიშვილს, ხოლო რამ გამოიწვია ეს, რას ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, ვერაფერი გავიგეთო.

მოწ. თავ. გიორგი თუმანიშვილმა სთქვა, რომ დიასამიძე და თუმანიშვილი წინადვე უმძრახები იყვნენო. ხოლო რაც შეეხება შენიშვნას, რომელიც გაზეთში იყო დაბეჭდილიო, იმის თაობაზე წინა დღეს ე. ი. 19 მაისს ბრალდებულის შვილი თავ. გრ. დიასამიძე იყო რედაქციაში და სთქვა, რომ შენიშვნა ჭეშმარიტებას არის მოკლებულიო და უთუოდ მამაჩემი სალამოზე შემოიტანს მაგის წინააღმდეგს წერილსაო.

სხვა მოწამეთ ახალი აღარაფერი უთქვამთ. მხოლოდ თავ. ვაჩნაძემ, თავ. ნიჟარაძემ, შატბეროვმა, მურვანოვმა და თავ. ფალავანდიშვილმა აღიარეს, რომ ჯერ თუმანიშვილი შეეხო ხელით თავ. დიასამიძეს და მერე თავ. დიასამიძემ დაჰკრა ჯოხიო.

მომჩივარის ვექილი ტერ-სტეფანოვი. უპირველეს ყოვლისა უნდა ვსთქვა, რომ ჩემთვისაც და თავ. თუმანიშვილისთვისაც მნიშვნელობა არა აქვს იმას, როგორ სასჯელს მიუსაჯავთ ბრალდებულს. ჩვენთვის სულ ერთია, სასტიკი იქმნება იგი თუ არა. თავ. თუმანიშვილს მხოლოდ ერთი სურვილი აქვს: სასამართლოს გადაწყვეტილებამ აშკარად დაანახვოს ყველას, რომ თვით თავ. თუმანიშვილი არაფერშია დამნაშავე და თავისის მხრით არ გამოუწვევია თავ. დიასამიძის ასეთი სიქციელი. დარწმუნებული ვარო, განაგრძო ტერ-სტეფანოვმა, მსაჯულები რომ ისე კარგად იცნობდნენ თავ. თუმანიშვილს, როგორც მე ვიცნობ, მოწმეებს სრულებით აღარ დაიბარებდით და თავ. თუმანიშვილის სიმართლეში ეჭვს სრულებით არ შეიტანდით. თავ. თუმანიშვილს არავის წყენა არ შეუძლიან და არცა ყოფილა მაგალითი, რომ ვინმესთვის შეურაცხყოფა მიეყენებინოს. მაგრამ თქვენ არ იცნობთ მომჩივარს და ნებაუნებურად მოწმეების ჩვენებას უნდა დასჯერდეთ. შემდეგ ბ. ტერ-სტეფანოვი მოწმეების ჩვენების განხილვას შეუდგა და სხვათა შორის სთქვა, რომ მომეტებული ყურადღება თავ. აბხაზის, თავ. ჩერქეზიშვილის და ზოგიერთა სხვათა ჩვენებას უნდა მიექციოსო. საერთოდ-კი, დაუმატა ბოლოს, ყველა მოწმეების ნალაპარაკევიდგან აშკარადა სჩანს, რომ თვით თავ. თუმანიშვილი დამნაშავე არაფერშია და ბრალი სავსებით თავ. დიასამიძეს ედებაო.

ბრალდებულის დამცველმა ვექილმა ივ. ჟაბადარმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა თავად-აზნაურთა ბანკის წევრთა დასების ბრძოლა და გაზ. ,,ახალის მიმოხილვის“ მონაწილეობა ამ ბრძოლაში. მთელი ხუთი წელიწადიაო, სთქვა ბ. ჟაბადარმა, თ. თ. თუმანიშვილები თავიანთ გაზეთში ლაძღვა-გინებით და უშვერის სიტყვებით იხსენიებდნენ თავ. დიასამიძეს და იმ დასს, რომელსაც ეგ ეკუთვნოდა, თავ. დიასამიძეს თავისს გამართლების სახსარი არა ჰქონდა, რადგანაც ყველა გაზეთები, თითქოს განგებ პირი შეჰკრესო, ამათ წინააღმდეგ სწერდნენ. თავ. დიასამიძემ ვერ აიტანა ამდენი შეურაცხყოფა და ბოლოს, მოთმინებისაგან გამოსულმა, ჩაიდინა ეს საქციელიო. ამიტომ გთხოვთ, ბბ. მოსამართლენო მიიღოთ მხედველობაში გაზ. „ნოვ. ობზ.“-ის რედაქტორების ასეთი არა საკადრისი საქციელი და გაამართლოთ თავ. ნ. დიასამიძე.

როგორც გუშინაც გვქონდა მოხსენებული, თავ. დიასამიძეს მიუსაჯეს შვიდის დღით ჰაუპტვახტში დაპატიმრება.

# რუსეთი

—

სწავლულთა სამთო კომიტეტი მალე განიხილავს პროექტს იმის შესახებ, რომ ეკატერინოსლავში სამთო ინსტიტუტი იქმნას გახსნილი. ხსენებულს ინსტიტუტში, როგორც პროექტიდამ სჩანს, სწავლას უფრო პრაქტიკული ხასიათი ექმნებაო, სწერს გაზ. „პეტერბურგსკია ვედომოსტი“.

— პეტერბურგის გაზ. „ნოვოე ვრემია“-ს სიტყვით, აზიის ჯერედ გამოუკვლეველ ადგილთა მცენარეულობის შესასწავლად და საიმპერატორო ბოტანიკურ ბაღის სამეცნიერო კოლექციათა შესავსებად მთელის ზაფხულით გაგზავნილ იქმნენ: ხსენებულის ბაღის უფროსი ბოტანიკოსი კორჟინსკი—როშანს, შუნგანსა და პამირში (მგზავრობის ხარჯს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულის საზოგადოება კისრულობს), მეურნეობის სამინისტროსთან მიწერილნი ლიპსკი—თურქესტანში და იაჩევსკი კავკასიაში; იაჩევსკიმ პარაზიტული და სხ. სოკო-გვარი ცხოველები უნდა გამოიკვლიოს. ქ-ნი ნემეცი მონგოლიაში იქმნა გაგზავნილი.

— ს. პეტერბურგის დედათა მომავალ სამკურნალო ინსტიტუტის ინსპექტრისად დედათა უმაღლეს კურსების ინსპექტრისას თანაშემწე ქვრივი დ. ს. სოვეტნიკისა მარიამ დიმიტრის ასული სენიავინა იქმნა დანიშნული, ხოლო მის თანაშემწედ იმავე კურსების ბიბლიოთეკის გამგე ქალი ქ-ნი ეკატერინე ივანეს ასული მაქსიმოვისა. ამ ჟამად 160 თხოვნაა უკვე შეტანილი ინსტიტუტში შესვლის მსურველთაგან. ხსენებულს კურსებზედ მომავალის წლიდამ ყოველ-კვირეულ ლექციების რიცხვი უფრო მომატებული იქნება. („ნოვოე ვრემია“).

# უცხოეთი.

—

**ოსმალეთი** გაზ. „Hamb. Nacht.“-ის სიტყვით ოსმალეთი მეტად თამამად იქცევა და თითქმის ყურადღებას არ აქცევს ევროპის სახელმწიფოთა ბრძანებას. საქმე იმაშია, ამბობს გაზეთი, რომ თვით ევროპის სახელმწიფონი მუდამ ერთმანეთის მტრობაში არიან და ხან ერთი მიემხრობა ოსმალეთს, ხან მეორეო. ოსმალეთის მთავრობაც კარგად ხედავს, რომ სახელმწიფონი ერთმანეთში ვერასოდეს ვერ მორიგდებიან და ისე იქცევა, როგორც თვითონ მოიწადინებს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მომხრე მაინც ეყოლება ვინმე. მეორეს მხრით, ოსმალეთმა თავისს ჯარი კარგად მოაწყო და იმათი რიცხვი თითმის 800,000 კაცამდე აიყვანაო. ოსმალები ეხლა დარწმუნებულნი არიან, რომ არც ერთს სახელმწიფოს არ ჩამოუვარდებიან და ბრძოლაში ყველასთან გამარჯვებულნი გამოვლენო.

**ჩინეთი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ჩინეთმაც გამოიღვიძა და შეიარაღების საქმეს შეუდგა. ჩინეთის იმპერატორს მოუწონებია ახალი პროექტი ჩინეთის ფლოტის განახლების და შეკეთების შესახებ და ბრძანებაც გაუცია, რომ მოკრიბონ ამ საქმისთვის საჭირო ფული. ბრძანების ძალით გუან-დუნის პროვინციამ წელიწადში 900,000 ლანი უნდა შეიტანოს ხაზინაში. აგრეთვე სხვა პროვინციებმაც უნდა გადაიხადონ. ასე, რომ წელიწადში სულ 10 მილიონი მეტი შესდგება. ამ ფულით სულ ახალი კარგად მომზადებული გემები იქმნება შეძენილიო.

# დამაკვირდი

ფული ყველა კარს გააღებს, ცის კარის გარდა.

***

შეუძლებელია პატიოსნურად აზროვნობა იქ, სადაც მთელი ფიქრი ადამიანისა პურის ლუკმის მოპოებას უნდება.

მონტესკიე

***

ნუ უსაყვედურებ მთვრალს, რადგან ეგ იგივე იქნება, რომ შორს ქვეყანაში სადმე მყოფს აქედგან გინება დაუწყო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ას წელიწადზედ მეტია, რაც მეცნიერებმა იფიქრეს, შესაძლებელია როგორმე ფრანი გამოვიყენოთ სამეცნიერო გამოკვლევისათვისაო. ფრანის შემწეობით დამტკიცებულ იქმნა, რომ ატმოსფერის ელექტრონის ძალა იგივე ყოფილა, როგორიც სხვა და-სხვა მანქანებისა. ფრანისავე შემწეობით შესაძლებელი აღმოჩნდა ატმოსფერის ელექტრონის ძალის შეგროვება. შემდეგ იმასაც-კი სცდილობდნენ, ფრანი გამოვიყენოთ როგორმე ჰაერში საფრენადაო, მაგრამ ამ ცდამ ამაოდ ჩაიარა და თავი დაანებეს. ამ ბოლოს დროს მეცნიერებმა ისევ მოჰკიდეს ხელი ფრანსა, რომელიც ზოგიერთ საქმეში თურმე ძლიერ სასარგებლო გამოდგა.

ჯერ-ჯერობით საჭირო იყო გამოეკვლიათ, რა სახის ფრანია უკეთესი. ეჭვი არ არის, რომ თვით ფრანის სახესა და მომართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს ფრანის ძალღონეზედ. ოთხ-კუთხი, ფრანის მგზავსი ფრანი, რომელსაც ჩვენში ხმარობენ, მეცნიერთათვის არ გამოდგა. უფრო უკეთესი ყოფილა უძირო ყუთის მზგავსი ფრანი, როგორსაც იაპონიაში ჰხმარობენ. სხვა-და-სხვა სახისა და მომართულობის ფრანები გამოსცადა ინგლისელმა ლაურენს ჰარგრავმა. ეს მეცნიერი სცდილობდა ჰაერში საფრენი მანქანა მოეგონებინა და ამიტომ მოჰკიდა ხელი ფრანების გამოკვლევას. ძლიერ კარგი ყოფილა აგრედვე ფარის მგზავსი ფრანი იმ სახისა, როგორსაც მალაის კუნძულის მცხოვრებნი ხმარობენ. შარშან ზაფხულს ფრანებს მოჰკიდა ხელი ვაშინგტონის სამეტეოროლოგიო სადგურმა და მათის შემწეობით მრავალი სამეტეოროლოგიო გამოკვლევა მოახდინა.

შარშან ამერიკაში დაარსდა მეცნიერთა საზოგადოება, რომელიც დარწმუნებულია, რომ ფრანი ძლიერ დიდს სამსახურს გაუწევს სხვა-და-სხვა სამეცნიერო გამოკვლევაშიო. ამ საზოგადოების წევრებად ითვლება მრავალი პატივცემული მეცნიერი; სხვათა შორის წევრებად არიან სახელოვანი ოსტრონომი პიკერინგი და ინჟენერი ჩინიუტი.

მეცნიერები სცდილობენ ისეთი ფრანი გააკეთონ, რომ ჯერ ერთი რაც შეიძლება ძლიერ მაღლა ავიდეს და გარდა ამისა, რაც შეიძლება მეტი ძალა ჰქონდეს, ესე იგი მომეტებული სიმძიმე აიტანოს თან. სულ პირველად ფრანი 1.900 ფუტის სიმაღლეზედ მეტად ვერ ადიოდა (7 ფუტი ერთი საჟენია) და 115 გირვანქაზედ მეტი ვერ აჰქონდა. მას შემდეგ თან და თან უკეთესი ფრანი გაჰმართეს და იქამდე მიაღწიეს, რომ შარშან ბოსტონის სადგურიდგან აშვებული ფრანი 7,500 ფუტის სიმაღლეზედ ავიდა და თან აიტანა სამეტეოროლოგიო მანქანები წონით სამი გირვანქა. ამავე სადგურიდგან აუშვეს კიდევ რამდენიმე ფრანი, რომლებიც 8,740 ფუტის სიმაღლეზედ ასულან.

მეტეოროლოგიისთვის ფრანი იმიტომ არის სასარგებლო, რომ ფრანს სამეტეოროლოგიო მანქანებს აბამენო: ტერმომეტრს, ბარომეტრს, გიგრომეტრს და სხვ. ეს მანქანები თავის თავად აღნიშნავენ, რა სიმაღლეზედ როგორი სითბოა, რამდენად ძლიერია ქარი, როგორი ჰაერია დიდს სიმაღლეზედ და სხვ.

გარდა ამისა ფრანი ძლიერ გამოსადეგი იქნება ომიანობის დროს. დღისით შეიძლება ფრანს სხვა და სხვა ფერის ბაირაღები მოაბან. ამ გვარად სარდალს შეეძლება ჯარის უფროსებს თვისი განკარგულება აცნობოს. ღამე ფრანს ბაირაღების მაგიერად ფერადს ფარნებს მოაბამენ.

ერთმა მეცნიერმა, გვარად უაზმა ფრანითა სცადა ჰაერში ასვლა და 50 ფუტის სიმაღლეზედ ავიდა კიდეც. იმედია, რამდენსამე ხნის შემდეგ ადამიანი ფრანის შემწეობით უფრო დიდს სიმაღლეზედ ადვილად ავა.

დასასრულ ფრანი ძლიერ გამოსადეგი ყოფილა ფოტოგრაფიის სურათის გადასაღებად. ფრანს აბამენ ფოტოგრაფიის მანქანას. რომელსაც გამობმული ვქვს ბაწარი. როცა ფრანი სასურველ სიმაღლეზედ ავა, მანქანაზედ გამობმულ ბაწარს დასწევენ და მანქანა თავის თავად გადიღებს ქალაქის სურათს. ამ გვარად გადაიღეს 230 ადლის სიმაღლიდგან საფრანგეთის ქალაქის ლაბრუგერის სურათები.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 ივნისი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ბრონიცკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი უგანათლებულესი თავადი ლივენი დანიშნულ იქმნას სახელმწიფო სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკების გამგედ, ამასთანავე ებოძოს სტატსკი სოვეტნიკობა.

უმაღლესი ბრძანება: მემკვიდრე დიდი ჰერცოგი საქსონ-ვეიმარისა ვილჰელმ-ერნსტი 30 დრაგუნის ინგერმანლანდის დიდი ჰერცოგის საქსონ-ვეიმარის რაზმის სიაში იქმნას ჩარიცხული.

**გელსინგფორსი.** სვენიქსკის ხიდთან დემს „Onni“-ს ცეცხლი გაუჩნდა. გემი სულ ერთიანად დაიწვა. დაიღუპნენ: სტატსკი სოვეტნიკი იანიშევსკი, ამისი ქალი ქ ნი მინისერი და ამ უკანასკნელის ერთი წლის ქალიშვილი. ამათ გარდა სამი კაცი კიდევ დაიღუპა.

**კონსტანტინეპოლი.** იუწყებიან, რომ პორტა თანახმაა მიიღოს ახლად გაყვანილი სამზღვარი. ოსმალეთი შეიძენს მშვენივრად მოწყობილ სამზღვარს, ძაბერძნეთი კი, გარდა ერთის სოფლისა, არც ერთს დასახელებულს ადგილს არა ჰკარგავს. დიპლომატიურ წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ თუ მოულოდნელად ორივე მხარემ უარი არ განაცხადა, ზავი მალე იქმნება შეკრულიო.

**ლონდონი.** 9 ივნისს, შუადღისას, დედოფალი ვინდზორიდგან ლონდონში შევიდა. ქუჩები ბაირაღებით და ყვავილებითაა მორთული. ამინდი მშვენიერია.

შაბათს კემბრიჯში ფინლიანდიის არქიეპისკოპოსს ღვთის-მეტყველების დოქტორის დიპლომი მიართვეს.

**ლონდონი.** დედოფალი პრინცესების ბეატრისა და ხრისტიანის მეუღლესთან ერთად პოდინგამის სადგურიდგან ბუკინგემის სასახლეში წაბრძანდა. ქუჩებში აურაცხელი ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

**ლონდონი.** დედოფალმა მიიღო უაველსტოესნი და სხვა სტუმარნი, შემდეგ მასთან სადარბაზოდ იყვნენ ინდოელნი თავადნი და სახელმწიფოთა წარმომადგენელნი.

**ლონდონი.** პალატაში ბალფურმა შეიტანა წინადადება, რომ დედოფალს მისალოცავი ბარათი მივართვათო. დილონი წინააღმდეგია, რადგანაც ირლანდია მონაწილეობას არ მიიღებს. ჯონ-რედმონდმა განაცხადა, რომ ამ მეფობის დროს ირლანდია გაღარიბდა, დაეცა, ბევრი გაჭირვება გამოიარა და ამიტომ მონაწილეობას ვერ მიიღებს საიუბილეო დღესასწაულებშიო. პალატამ 411 უმეტესობით წინააღმდეგ 41-სა მიიღო ბალფურის წინადადება და დაადგინა მიულოცოს დედოფალი.

**კონსტანტინეპოლს.** 9 ივნისს ელჩებს ბჭობა ჰქონდათ და შემდეგ მეფვიდე სხდომა საბერძნეთ და ოსმალეთ შორის ზავის პირობების შესახებ.

მთავრობის განკარგულების ძალით იმ ბერძენთ, რომელთაც ომის გამო ოსმალეთს თავი გაანებეს არ შეუძლიანთ დაბრუნდნენ უკან, ვიდრე ზავი არ იქმნება ჩამოვარდნილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ მნათეს ლანჩხუთის იოანნე ნათლის-მცემლის ეკკლესიისას ივანე ნიკოლოზის ძეს ცინცაძეს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულის ეკკლესიის სახარება მოაჭედინა თავისის ხარჯით და დახარჯა ოცდა თხუთმეტ მანეთამდე.

ბლაღოჩინი მღვდელი კონსტანტინე კანდელაკი

Дозволено цензурою, Тифлисъ 10 го Іюня 1897 г.    სტამბა ბ. შარაძისა და ამხანაგობისა.    რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.